ხელშეკრულება № M-19

ქ. თბილისი

08 "აპრილი" 2019 წ.

ერთი მხრივ, შპს "საქართველოს ფოსტა", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ვლადიმერ ხუნდაძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, შპს „ჯეოონო" წარმოდგენილი მისი დირექტორის ონისე საბიაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს მე-13 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ერთპირთან მოლაპარაკების გზით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: კომპრესორების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების (CPV კოდი: 50531300) შესყიდვა

№	საქონლის დასახელება	საქონლის რაოდენობა	ს ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება
1	STANDAND JB/T9542-1999 კომპრესორის შეკეთება	1 ცალი	320.00 ლარი	320.00 ლარი

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს *320,00 (სამას ოცი)* ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. მომსახურების მიწოდების ვადა

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს *2019 წლის 12 აპრილის ჩათვლით.*

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. **შემსყიდველის უფლება აქვს:**

5.1.1. შეამოწმოს შესყიდვის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

5.1.2. რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

5.1.3. მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისერი შესრულება.

5.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

5.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

5.3. **მიმწოდებელს უფლება აქვს:**

5.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

5.4.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

5.4.2. შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესყიდვის ობიექტი, რომელიც არ გამოავლენს დეფექტებს.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3. მიმწოდებელთან ***ანგარიშწორება ხორციელდება 10(ათი) კალენდარულ დღეში***. 6.2. პუნქტში მითითებული მოთხოვნების საფუძველზე.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ფორმით.

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5. მხარე ვალდებულია 7.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2. თუ მხარეები მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების კონტროლი

10.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შპს „საქართველოს ფოსტა"-ს სსაქყობო მეურნეობის უფროსი გივი კაპანაძე.

10.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

10.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მათი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 13 მაისის ჩათვლით.

12. განსაკუთრებული პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია 1 (ერთი) ელექტრონულად ხელმოწერილ ეგზემპლარად და ინახებება ხელშეკრულების მხარეებთან.

„შემსყიდველი“

შპს "საქართველოს ფოსტა"
ს/კ: 203 836 233
მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი #2
ს.ს. "საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის №GE13BG0000000123286800

ვლადიმერ ხუნდაძე

LLC Georgian Post
Digitally signed by LLC Georgian Post
Date: 2019.04.08 14:56:32 +04'00'

გენერალური დირექტორის მოადგილე

"მიმწოდებელი"

შპს „ჯეოონო“
ს/კ: 416292185
მის. ქ. თბილისი, ს.ზაქარიაძის #3
ს/ს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგარიშის №GE83BG0000000894947700

ონისე საბიაშვილი

დირექტორი